№ 230

ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 230

ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი 1895

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## იოსებ ივანეს ძე რატილი

სთხოვს ყველა მსურველთ ახლავ შეატყობინონ მას მომღერალთ დასში შესვლის სურვილი; რეპეტიციები ამ კვირაში დაიწყება.

ადრესი: ვორონცოვის ქუჩა, № 5. (5—უ—5).

## ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას**.

მსურველთ მოკჳმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—17)

**ქართული სამკითხველო**, რომელიც იმყოფებოდა კოჩუბეის ქუჩაზედ, გადატანილი იქმნა მოლოკანთა ქუჩაზედ, სახლი №-5 იაფ-ფასიან სასადილოს პირ-და-პირ. (5—უ—4).

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 22 ოქტომბერს, იაფ-ფასიან სასტუმროს შენობაში სახალხოდ წარმოდგენილ იქმნა ქართულად „ადვოკატები", თხზულება თავ. რ. ერისთავისა და რუსულად ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ. წარმოდგენა დაიწყო 4 საათზედ, ხალხი მრავალი დაესწრო, ასე რომ ბევრნი ფეხზედ იდგნენ უადგილობისა გამო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც სახალხო [კითხვა, ისე სახალხო წარმოდგენები ტფილისში ფეხს იკიდებენ. ხოლო შენობა, სადაც წარმოდგენები იმართება და სახალხოდ კითხულობენ, საჭიროა გაფართოვდეს. საზოგადოდ ამ საქმეს მატერიალური დახმარება ესაჭიროება და იმედია ყურადღებას მიაქცევენ ყველა ისინი, ვისაც გული შესტკივა თავისს უმცროს მოძმეთათვის.

*** თავ. რაფიელ ერისთვის სახელის ფონდისათვის შეგროვილ ფულებზედ ჯერ-ჯერობით შემდეგი ცნობები მივიღეთ: ახალციხის ქართველ ქალებისაგან 114 მან., ქუთაისის ქართველ ქალთაგან 70 მან., ქუთაისის ქართველ საზოგადოებისაგან 240 მან., განჯის ქართველთაგან 105 მან., მაჩხაანის დეპოსაგან 10 მან. ამას გარდა, ჩვენ შევიტყეთ, რომ, სადაც-კი ქართველები მოიძებნებიან, ყველგან გროვდება ფულები ამ ფონდისათვის.

პარასკევს, 27 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ბ. ბოჩკარიოვი წაიკითხავს თავისს ეკონომიურს გამოკვლევას ყარსის ოლქისას.

*** კავკასიის საექიმო საზოგადოებას განუზრახავს გამოსცეს საექიმო და საჰიგიენო ფურცელი. თუ «საზოგადოებას» ჰსურს ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს მკვიდრთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსულ ტექსტთან ერთად ქართულსაც დაეთმობა ადგილი. ტფილისში არიან ქართველი ექიმებიც, რომელნიც არ დაიშურებენ შრომასა და მეცადინეობას.

*** ქართლიდგან გვატყობინებენ, რომ ახლო-მახლო მთები ჩამოუთოვლია და აციებულა; როგორც სჩანს, ამ ზამთარში დიდი სიცივეები იქნებაო.

*** ბორჯომი: აქ ეს სამი დღეა თოვლი მოვიდა და აცივდა. ღამ-ღამით ხმელი სიცივეა; ამის გამო ხალხი სრულიად გაიკრიბა აქედგან.

## რაფიელის მადლობა

(წაიკითხა კ. მესხმა ვახშამზედ)

ქართლ-კახეთ-ხევსურ-იმერი
თუშ-ფშაველ მეგრელ-გურული,
მთლად საქართველო მოყრილა,
ერთად სძგერს ერის აქ გული.

—

ყველა მილოცავს სიბერეს,
ჩემზედ ლესავენ ენასა,
სიტყვით ლამაზით, კაზმულით,
ჰცდიან ჩემს გამოჩენასა.

—

მე კი რა მეთქმის, რაღა ვთქვა,
რა დამრჩა მოსალოცავი,
ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ,
ის არის კარგი და ავი.

—

ეს არის ჩვენი აქ მოყრა,
ეს კრება შეერთებული,
საერთო გრძნობა და ძმობა,
ერბაშად გაღვიძებული.

—

„ერთი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა",
მაგრამ რაღა სჯობს ამ გრძნობას,
საერთოს, სანეტაროსა!..

## ადრესები

დაუვიწყარო მგოსანო!

დღეს საქართველოს ყველა კუთხიდამ მომართულია თქვენდამი საერთო გრძნობა სიხარულისა და მადლობისა. ორმოცდა-ათმა წელმა განვლო, რაც თქვენ, ჩვენო სიქადულო, დაუღალავად მოღვაწეობთ სალიტერატურო ასპარეზზედ,—გვიხატავთ მშვენიერის ლექსით ქართველი კაცის სულის და გრძნობის მოძრაობას. განვლენ ჟამნი და ბევრი ავიც და კარგიც ცხოვრებიდამ მიეცემა დავიწყებას, მაგრამ თქვენი კალმის ქმნილებანი-კი ქართველის გულში დარჩებიან სამუდამოდ.

მმართველობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა, რომლის საპატიო წევრად თქვენ ბრძანდებით და რომლის წინაშე დიდი ღვაწლი მიგიძღვით როგორც თქვენის უკვდავის თხზულებებით, ისე პირადის შრომით და თქვენის საკუთარის ბიბლიოთეკის შემოწირვით, გილოცავთ თქვენის მოღვაწეობის ორმოც-და ათის წლის შესრულებას და ისურვებს თქვენს დიდ-ხანს სიცოცხლეს საქართველოს ხალხის სასიქადულოდ.

22 ოქტომბერს 1895 წ.

თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე.

თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ცხვედაძე.

გამგეობის წევრნი: იაკობ გოგებაშვილი. ივანე ელიაშვილი. დავით კარიჭაშვილი. ნიკოლოზ მთვარელიშვილი, გიორგი იოსელიანი.

—

თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავს.

დიდად პატივცემულო ბატ. რაფიელ!

დღეს შესრულდა მთელი ნახევარ საუკუნე მას აქეთ, რაც თქვენ პირველად გამობრძანდით საქვეყნო ასპარეზზედ. იმ დროს მეტის-მეტ სავალალო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მთელი სამშობლო მხარე! სამი ათასი წლის განმავალობაში თავგამოდებით მებრძოლი ერი მაშინ ძილსა და მოსვენებას მისცემოდა. ეროვნული გრძნობა, მისი თავისუფალი ძარღვის ცემა თითქოს სრულიად შეჩერებულიყო, გამქრალიყო! ერის სულსა და გონებას საღამო-ჟამური ბინდბუნდი სუდარასავით გადაჰფენოდა და შავბნელი გარემოებანი შხამით სავსე ტკბილ ხმაზე ნანას უგალობებდნენ. პირველსავე ნაბიჯზე თქვენმა გამჭრიახმა თვალმა ცხადად შენიშნა ეს სამწუხარო მდგომარეობა მოძმე ერისა, და აღივსო ამ ჟამიდგან თქვენი პატიოსანი გული სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა. ეს დიდებული გრძნობა გარდაიქცა მთელის თქვენი მომავალ ცხოვრების ბეთლემის ვარსკვლავად, რომლისაგან განათებულ გზას არ გადასცილებია არცა ერთი ნაბიჯი თქვენის მსვლელობისა.

გამოფხიზლება მიძინებულის მოძმისა, განცხოველება ეროვნულის გრძნობისა,—აი ის დიდებული საგანი, რომლის წინაშე მოწიწებით გქონდათ მარად გადაშლილი თქვენი სული და გული, ყოველი თქვენი „ზეგარდმო მადლით ცხებული" ნიჭიერებანი, ამ წმიდა საგნის სადიდებლად მოიმართა პირველადვე თქვენი მადლიანი ჩანგი და მას აქეთ-ორმოცდა-ათი წლის განმავლობაში შეუჩერებლივ ისმოდა მისი ზეციური წკრიალი ხან ღრმა მწუხარებისა და სევდა-ვარამის გამომხატველი და ხანაც სავსე მამაპაპურის ქველობითა და მხნეობით.

დღეს, უპატივცემულესო რაფიელ, თქვენა ჰგევხართ იმ გუთნის დედას, რომელმაც ერთგულად მოხნა მინდორი; საგანგებოდ გარჩეული ხორბალი დათესა და, თუმცა ათასნაირი უამინდობა ხელს უშლიდა ამ თესლის თავისუფლად აღმოცენებას, მაგრამ ბოლოს მაინც მოესწრო და თავისი თვალით ნახა ლამაზად აბიბინებული ყანა. ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში თქვენის გულიდამ აღმოფეთქილი გრძნობანი ამ ჟამად მოფენილია მთლად საქართველოში, რომლის სხვა-და-სხვა მხარეთა წარმომადგენელნი დღეს აქ, თქვენ წინაშე, შემოკრებილან, რათა წრფელის გულით მოგიძღვნან მადლობა და პატივისცემა!..

გორის ქართველ საზოგადოებისაგან.

1895 წ. ღვინობისთვის 22, კვირა, ქ. გორი.

—

რაფიელ დავითის ძეს თ. ერისთავს „ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან".

ჩვენო მგოსანო პოეტო, ძველფასო გუ-ლის მოპასუხევ ჩვენის მთისა და ბარისა!

დღეს მთელ საქართველოსთან ერთად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაც თავისს მოსწავლეთა და მასწავლებლებითურთ გილოცავს ამ შესანიშნავს საეროვნო დღესასწაულს და გიძღვნის სალამსა. დღეს შეგიძლია სავსებით დასტკბე შენის ორმოც-და-ათის წლის პოეტურის მოღვაწეობით. უკვდავი ლექსები, შენის კალმით დაფრქვეული მარგალიტები, დიდი ხანია მოიფინნენ ჩვენს საყმაწვილო წიგნებში; მათ ზეპირობს გულს მოდგინეთ და მღერის ხალისიანად ჩვენი მოზარდი თაობა; ამ ცქრიალა და საამური ლექსებით იგი სწავლობს და ითვისებს ტკბილს დედა-ენას; იფაქიზებს და იცხოველებს სულსა და გულსა; იღვიძებს და ინათლებს გონებასა; შენის ლექსების წყალობით მოსწავლე ახალგაზდობა ინერგავს გულში წრფელს სიყვარულს ჩვენის მრავალტანჯულის ერისადმი და მეტადრე ბედ-შავი გლეხ-კაცობისადმი; აი, სად მოელის შენისთანა კეთილს მთესავს უხვი სამკალი. მთასაც ესმა შენი უკვდავი ჩანგის ჟღერა, გულს მოხვდა და ბანი მოგცა. დღეს ხარობს მთელი საქართველო, ამერ-იმერი გითვლის სალამსა, გამკობს და გიწნავს გვირგვინსა. გაიხარე და დასტკბი, ჩვენო ტკბილო მგოსანო! შენი ჩანგის ჟღერა დღეის იქით უფრო შორს და ფართოდ მიმოიფინება ჩვენის ქვეყნის მთასა და ბარსა და, თუ დღეს ხედავ ამ სასიხარულო, საეროვნო დღესასწაულსა, მომავალი ერთი-ორად უფრო მეტის დიდებით შეამკობს იმის სახელსა, ვინცა შექმნა: „თინიას მამითადი" და „სამშობლო ხევსურისა".

—

სამშობლოსათვის თავ-დადებულო და დაუღალავო მუშაკო!

აი ეს ნახევარი საუკუნეა, რაც შენს საყვარელს ერს ემსახურები და თავს დასტრიალებ! ყოველ-გვარ ლიტერატურაში გიცდია შენი ნიჭი და სინიდისიერად შეგისრულებია კიდევაც შრომა, რომელიც გიკისრია; მაგრამ ყველაზედ უფრო დაფასებული და დაუვიწყარი შენის თანამემამულეთათვის დარჩება შენი პოეტური ნაწარმოები, საყვარელო მგოსანო! იქ, იმ ტკბილს და გრძნობით სავსე ლექსებში დინჯის, მოსვენებულის კილოთი, მაგრამ შეურყევლად დაგიჟინია, რომ ქართველი ერი ვერ დაივიწყებს თავისს ენას; იქ მედგრად, გულ-გამეხებული, ვაჟკაცურად გაიძახის შენი ხევსური—იგივ ქართველი—„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედაო"... იქ გაგვაცნობ და ძმურად დაგვიახლოვებ „ჩატეხილ ხიდს გაღმა დარჩენილს" ქართველ გლეხს, ჩაგვახედებ მის პატიოსან და სანდო გულში, შეგვაყვარებ მის «ნიკორას» და მის ჯან-საღს შრომას და სიცოცხლეს და ბოლოს გვიხატავ ქართველ ქალს, რომელიც მოითხოვს თავისის საქმროსაგან თავგანწირულებას საგმირო საქმეებისათვის. ყველა ეს დიდებული გრძნობა არ დაივიწყება ქართველი ერისაგან განურჩევლად სქესისა.

იხარე, ბედნიერო მგოსანო! შენ გხვდა წილად ტკბილი ხვედრი: მოიმკე ას წილ ის, რაც დასთესე კურთხეულის ხელით!

მამა-შვილურის გრძნობით მოვიქცევით შენდამი, მხცოვანო მგოსანო, ქუთათური მანდილოსნები და აღგითქვამთ საქვეყნოდ, რომ ვეცდებით ღრმად დავიმარხოთ გულში და გადავცეთ ჩვენ შვილსა და მომავალს ის დიდებული აზრები და მშვენიერი გრძნობანი, რომელნიც უხვად არიან გაბნეულნი შენს ნაწარმოებში.

—

ღრმად პატივცემულს მგოსანს რაფიელ ერისთავს.

ორმოც-და-ათ წელს დაუღალავად
შენი მარჯვენა აჟღერებს ჩანგსა,
და შენც, მგოსანო, მაგ წმიდა სიმებს
ხმა შეუერთე და აძლევ ბანსა!

—

ჩვენც, ამა გრძნობით აღფრთოვანებულნი,
საერთოდ ყველა გიძღვნით სალამსა,
ქედ მოდრეკილნი თაყვანის-ცემით
მოვეგებებით შენსა კალამსა.

—

აწ ნუ გვაკმარებ, კვალად გვიმღერე,
შენ თაყვანსა-გცემთ იმერ-ამიერ,

ჩვენ სადიდებლად, სამშობლოს ძეგლად
კიდევ იცოცხლე მრავალ-ჟამიერ!

კნ. ნინო ორბელიანისა.

—

მაღალ ღირსეულო მგოსანო რაფიელ!

ჩვენ, ქართველნი დედანი, გილოცავთ შენ ორმოც-და-ათის წლის სახელოვან მოღვაწეობას პოეზიის სარბიელზედ და ვამაყობთ, რომ ქართველმა დედამ, ქართულმა ნიადაგმა გამოზარდა, ააყვავა და და დაამწიფა შენისთანა მძლავრი ღონე და ნიჭიერება.

ჩვენ, ქართველნი დედანი, გილოცავთ შენ, რომელმაც შეჰქმენ ახალი ხანა ჩვენს პოეზიაში მით, რომ პირველმა ღრმად ჩაიხედე გლეხის გულში, შეისწავლე მისი წრფელი სული, მისი სადა და მარტივი ლტოლვილებანი, მისი ზღვაზედ უღრმესი ჭირი და ვარამი და შენის მხურვალე სიყვარულით იმისადმი ასობით გამოიწვიე შენი მომბაძავნი მწერლობაში და ამითი დაამყარე ძმობა და ერთობა, სიყვარული და თანაგრძნობა ხალხსა და იმათ წარმომადგენელთა შორის.

გილოცავთ შენ „ს ა მ შ ო ბ ლ ო ხ ე ვ ს უ რ ი ს ა“ ავტორს და ვინატრით, რომ იმ ლექსის სიტყვები:

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა;
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა,
არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს სხვის ქვეყნის სამოთხეზედა!

შენ სახელთან ერთად წაუშლელად აღიბეჭდებოდეს ყოველის ქართველის გულში და ამ შეუდარებელის სიტყვებით გამოწვეული მღელვარება სამუდამოდ აპოხიერებდეს ქართულ პატრიოტულ გრძნობას და მისწრაფებას.

დასასრულ, ჩვენო უძვირფასესო რაფიელ, ქართველნი დედანი ვინატრით თქვენს დღეგრძელობას, ბედნიერებას და მოგიძღვნით ჩვენს უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას.

—

დიდად პატივცემულო და მხცოვანო ბ ნო რაფიელ!

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მოგვანდო ჩვენ გამოგიცხადოთ ულრმესი პატივისცემა და მადლობა თქვენ, რომელიც აგერ თითქმის 50 წელიწადია ითვლებით ქართულის თეატრის შესამჩნევ მოღვაწედ. როდესაც ქართული თეატრი პირველად დაიბადა, მაშინ თქვენ უკვე ხუთის წლის საზოგადო მოღვაწეობა გეთვლებოდათ. თქვენ მაშინვე აღმოუჩინეთ შემწეობა ახლად დაბადებულს საქმეს. თქვენის შორსმჭვრეტელობით მაშინვე მიხვდით, თუ რა ძლიერ იარაღად უნდა გარდაქცეულიყო ქართული თეატრი ქართველის ერის საზოგადოებრივი გრძნობების გასაღვიძებლად და ამიტომ არ დაგიშურებიათ არც შრომა და არც თქვენი ღვთიური ნიჭი, რომ ნორჩი საქმე მკვიდრ ნიადაგზედ დამდგარიყო.

იყო დრო, როდესაც ქართულს თეატრს არ ჰქონდა რეპერტუარი, არ ჰყავდა მაყურებელი. ეხლა საქმე ამ მხრივ, ღვთით, უკეთ არის და ამ საქმის გაუმჯობესებაში თქვენ დიდი და დიდი სამსახური გაგიწევიათ.

ქართული თეატრის საქმე ამიერიდგან უკვდავია, ისე, როგორც ის ერი, რომლის აღორძინებას იგი ემსახურება და ამ უკვდავთა შორის თქვენი სახელიც უკვდავია; ქართული დრამატიული საზოგადოება ბედნიერია მით, რომ თქვენისთანა პატიოსანი მოღვაწე იმის წევრად ითვლება. დღეს ეს საზოგადოება გთხოვთ იმის მადლობასთან ერთად მიიღოთ აგრეთვე წოდება ქართულის დრამატიულის საზოგადოების საპატიო წევრისა, რის ნიშნადაც ამ დიპლომს მოგართმევთ.

დრამატიული საზოგადოების მმართველობა.

ადრესის წაკითხვის შემდეგ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წარმომადგენელმა გამოუცხადა იუბილარს, რომ „საზოგადოების“ გამგეობამ გარდასწყვიტა დააარსოს სკოლა იუბილარის სახელზედ იქ, სადაც საყვარელი მგოსანი დაიბადა.

## თავ. რაფიელ ერისთავის იუბილეის დღეს.

(გურულ გლეხ-კაცობის წარმომადგენელისაგან).

პოეტთ შორის პატრიარხსა
გვსურის კუთხრათ დღეს მადლობა,
მისთვის შეკრბით ერთად ყველა,
აქ გართ მთელი ქართველობა.

—

თუ არ ხორცით, სულით მაინც
დღეს აქ არის მთელი ერი,
ყველა ხარობს და მეჯლისობს
ამ დღის მომსწრე ბედნიერი.

—

აქ არის „ხინჩლა“, „თედუა“,
„ტეტია“ ახლავს „თინია“,
მათაც მისვლიათ ამბავი,
რომ დღეს საერთო ლხინია.

—

„მეზვრე“ იმღერის სმა-ტკბილად,
ბანს დაღუღუნებს „მეურმე“
და სასმოდ დადიდინებს
უცნაური მეფანტურე:

—

„ბეჩავ ხალხის გულში გქონდა
სამედო მკვიდრი ბინა;
მას ცდილობდი შენ ყოველთვის,
რომ ნათელი მოგეფინა.

—

„მათი ჭირი ჭირად გიჩნდა,
გატირებდა, გაცრემლებდა
და ლხინი-კი სიხარულის
ცრემლებს თვალზედ გაყენებდა.

—

„თითქოს იჯექ გლეხის გულში,
ისე ჟღერდა შენი ქნარი,
იმიტომაც შეგიყვარეთ,
სხვა არვინ გვყავს შენი დარი.

—

იცოცხლე ჩვენდა ნუგეშად,
ჯერ მიწს ნუ დასდებ კალამსა,
ათის წლის შემდეგ მოგიძღვნით
კიდევ საერთო სალამსა.

ა. წულაძე.

## „ნოვ. ობოზრენიეს“ რედაქტორის, თავ. ვას. თუმანიშვილის სიტყვა.

„ღრმად პატივცემულო თავადო რაფიელ დავითის ძევ! მრავალმა წარმომადგენელმა ჩვენის საზოგადოებისამ მოგილოცეს თქვენ ეს დღე, როგორც გამოჩენილს პოეტს და საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ რომ სრულიად დავაფასოთ თქვენი მოღვაწეობა, საჭიროა აგრეთვე მოვიხსენოთ ის გულითადი თანაგრძნობა, რომელსაც თქვენ ყოველთვის უჩენდით ჩვენს ნორჩს საჟურნალ-გაზეთო საქმეს. არ ყოფილა ჩვენში ისეთი დროგამოშვებითი გამოცემა, რომელსაც თქვენ არ დახმარებოდეთ თქვენის უანგარო შრომით და ნიჭიერ კალმით. „ნოვ. ობოზრ.“ რედაქცია გილოცავთ ამ დღეს, როგორც ერთს ბურჯთაგანს საჟურნალ-გაზეთო საქმისას ჩვენს ქვეყანაში. ამავ შემთხვევით ვსარგებლობ, რომ მოგართვათ რუსის მწერლის გრ. ჯანშიევისაგან გამოგზავნილი მისი თხზულება: „Изъ эпохи великихъ реформъ“, რომელსაც ის გიძღვნით თქვენ, როგორც საიუბილეო საჩუქარს“.

## სიტყვა გაზ. „კავკაზის“ რედაქტორისა.

გაზ. „კავკაზის“ რედაქტორ-გამომცემელმა ი. ნ. მილიუტინმა მიჰმართა იუბილარს სიტყვით, რომლის შინაარსიც ზედ-მიწევნით შემდეგი იყო:

ღრმად პატივცემულო თავადო რაფიელ დავითის ძევ! ნება მიბოძეთ მეც შევუერთდე ამ ბრწყინვალე დღეს თქვენ მომლოცველთა გუნდს. ეს დღე ბრწყინვალეა არა მარტო თქვენთვის, არამედ თქვენს მრავალ თაყვანისმცემელთათვის, ქართულის ლიტერატურისათვის, მთლად საქართველოსათვის და, მაშასადამე, რუსეთისათვისაც. ნებას ვაძლევ ჩემს თავს და გეგებები, როგორც თქვენი თანამედროვე. პირველად მე ვეკუთვნი პირადად იმ თაობას, რომელიც შეყრილა თქვენის იუბილეს სადღესასწაულოდ, მეორედ როგორც წარმომადგენელი გაზ. „კავკაზისა“. ამ ნახევარ საუკუნის წინად თქვენ ახლად გამოსული მწერლობის ასპარეზზედ, იყავით მოწმე გაზ. «კავკაზის» აღორძინებისა და მისივე პირველი თანამშრომელი.

ნახევარი საუკუნე კარგა ხანგრძლივი დროა ერთის კაცის მოღვაწეობაში. ბევრი ვერ ეღირსება თავისის იუბილეს ამისთანა დღესასწაულობას. თუმცა ნახევარი საუკუნე ლიტერატურისა და ხალხის ისტორიაში არ არის დიდი ხანა, მაგრამ ამ შემთხვევაში-კი სულ სხვაა. ეს ნახევარი საუკუნე მთელი პერიოდია ქართულს ლიტერატურაში და თუ დროს გავზომავთ, არა დღეებით არამედ წინმსვლელობით, ეს პერიოდი დიდ-ხანად უნდა ჩაითვალოს.

თქვენ ნახეთ, როგორ აღორძინდა ქართული ლიტერატურა. თქვენ თვით უდექით სათავეში ამ ნაკადულს და ამდიდრებდით მას თქვენის, ტკბილხმოვან ლექსებით. თქვენვე მოესწარით ამ ნაკადულის დიდ მჩქეფარე მდინარედ გარდაქცევას.

ჩვენ, რუსებს, თავი მოგვწონს იმით, რომ რუსეთის მფლობელობისა ქვეშ შესაძლებელი შეიქმნა ამისთანა აღორძინება. ჩვენ ამას ძმურის თანაგრძნობით ვუყურებთ, რამდენად ცხოველს-მყოფელნი და მდიდარნი იქნებიან ეს ცალკ-ცალკე ნაკადულნი, იმდენად უკეთესია ჩვენ ყველასათვის, რადგანაც ისინი ერთ დიდ ჩვენ საზოგადო სამშობლოს მდინარედ ერთდებიან და ყველა ერთად მის დიდებას აფართოვებენ. სულითა და გულით გინატრით ჰნახოთ აჰყვავება ქართულის ლიტერატურისა შემდეგშიაც. გეგებებით თქვენ არა მარტო როგორც გაზ. „კავკაზის“ წარმომად., არამედ როგორც წარმომადგენელიც რუსეთის მწერლობისა.

## დეპეშა.

**თელავი.** მეზობელო, სამწუხაროდ არ შემეძლო პირადად დავსწრებოდი თქვენის იუბილეს დღესასწაულს. თელავის მაზრის თავად-აზნაურნი გილოცავენ ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობას და გისურვებენ დღეგრძელობას სამშობლო ლიტერატურის სასარგებლოდ.

თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მაყაშვილი.

—

**გორი.** გორის მაზრის თავად-აზნაურნი სიხარულითა და ულრმესის პატივისცემით ეგებებიან ნახევარ საუკუნის განმავლობაში ქართულ ლიტერატურულს ასპარეზზედ თქვენის მოღვაწეობის იუბილეს.

გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სულხანიშვილი.

## საჩუქრები და გვირგვინები.

იუბილარმა მიიღო:

1) მაცხოვრის ხატი ალ. ეპისკოპოსისაგან.

2) მაცხოვრის ხატი მღვდლის ჰრელაშვილისაგან.

3) ვერცხლის გვირგვინი: „თ-დ რაფიელ ერისთავს, კავკაველი ქართველები. მრავალ არიან შენნი მჭვრეტელნი, არ ცუდად. იმკვეხარიან. 1845—1895 წ.“

4) ჩანგი. თ. რ. ერისთავს ქართველ ფარმაცევტებისაგან. 22 ოქტომბერს, 1895 წელსა. „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

5) ვერცხლის სურა თავისის თეფშით და ექვსი სტაქნითა—თავ. რაფიელ ერისთავს კახელებისაგან ნიშნად უგულითადესის პატივის-ცემისა. 1895 წ. 22 ოქტომბერს.

6) ვერცხლის სურა თავისის თეფშით: «თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავს ღვინობისთვის 22, 1895 წ. გორის ქართველ საზოგადოებისაგან».

7) ფრაკეს საპური: «თ. რ. ერისთავს. სენაკის სასულიერო სააზნაურო ნორმალურ და საქალებო მასწავლებელთაგან 50 წლის იუბილეს სალოცვრად».

8) ფრაკეს სურა: «თ. რ. ერისთავს ს. ს.-აზ. ნორ. საქ. მასწ. 50 წ. იუბილეს სალს.»

9) ვერცხლის კალენდარი ბარომეტრით და ტერმომეტრით, «რაფ. დავ. ერისთავს. სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება. გურულები. 18 /x95».

10) შავი მარმარილოს საწერელი: «რაფიელ ერისთავს ქუთაისის სათ.-აზნ. სკოლის მოსწავლეთაგან».

11) ალბომი დაღესტნის არე-მარის სურათებით: «ჩვენს სასიქადულო და უსაყვარლეს პოეტს თ. რაფიელ დავითის ძეს ერისთავს ნიშნად ჩვენის უგულითადესისა და უაღრესის პატივისცემისა. დაღისტნის ქართველები.»

12) შავი ქვის სამელნე: «ჭიათურის შავი-ქვის მადნის მუშებისაგან: „კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება“ 50».

13) წიგნი „სამოთხის ყვავილი“ ავტორისაგან.

14) წიგნი „Изъ эпохи великихъ реформъ Гр. Джаншiева“ ავტორისაგან.

15) ქართველთა ამხანაგობამ წიგნების გამოცემისა იუბილარს მიართვა მშვენიერს ყდაში გაკეთებული მისივე ლექსთა კრება.

16) ვერცხლის დანა-ჩანგალი ოქროში დაფერილი ორის კოვზითურთ სენაკის ქალებისაგან.

17) ვერცხლის კალამი—კნ. პუპი მაჭუტაძის ასულისაგან.

18) ალბომი სემინარიელებისაგან.

19) მარმარილოს საწერელი და კალამი: „თავ. რ. ერისთავს ტფილისის სათ. აზ. სკ. მოწაფეთაგან“.

20) მაგიდა: „ხარ უბედურთა და დამაშვრალთა მცველი, მგოსანი, ნიშნად პატივის ამას გიძღვნით ჩვენ ხელოსანნი. 1895 წ. 22 ღვინობისთვეს“.

21) სასურათე უჯრა: „ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა, მიყვარს სამშობლოს მე დედა-ენა. თ. რ. დ. ერისთავს თიანეთის სკოლის მოსწავლეთაგან. 22 ოქტომბერს, 1895 წ. ს. თიანეთი“.

22) ბალიში ხავერდისა, რომელზედაც არის ახალციხურ ვერცხლის ხელობის ჩარჩო დაკრული: „პოეტ. რ. ერისთავს ექვთ. ხელაძისაგან. 1845—1895 წ.“

გვირგვინები: ტფილისის ქართულ ჟურნალ-გაზეთებისაგან, Отъ Русской опереточной труппы, ქართულ დრამატიულ დასისაგან, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან, სომხურ დრამატიულ დასისაგან და რატილის ქართულ ხოროსაგან, ძვირფას პოეტს თ. რაფიელ დავითის ძე ერისთავს: „სამშობლო დედის ძუძუ არ გაიცვლება სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა“.

კიდევ ალბომი—ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან სურათებით.

23) წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მოწაფეთაგან: კაკლის ხის ფუდნოსი, ხის სამელნე, კალამი, დანა, ორი შანდალი და იმამი.

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. ღები,** (რაჭა). სოფელი ღები მთელს რაჭის მაზრაში ერთი მიგდებული, მიყრუებული და ყველასაგან მივიწყებული ალაგია. მკვიდრნი ამ სოფლისა, როგორც დაშორებულნი და მოკლებულნი ყოველგვარ სწავლა-განათლებას, არიან უვიცნი. ამ სოფელში ერთად-ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს, რომელიც აგერ 18 წელიწადია, რაც სხვა-და-სხვა გამოუცდელ პედაგოგთა გადამკიდე ფრთამოტეხილ ბატივით დაფართფატებს და სულთ-მაბრძოლ მომაკვდავივით არც სიკვდილსა სწევია და არც სიცოცხლეს. ამ სკოლას წელსაც ეწვია ერთი ახალი მასწავლებელი. იმედია ეს ახალი პედაგოგი მაინც ენერგიულად შეუდგება თავისს წმიდა მოვალეობის აღსრულებას და სულით და გულით მოინდომებს დაცემულის სკოლის აღდგენას.

ამ ჟამად ღებლები დიდ სიხარულში არიან იმ მოლოდინით, რომ ახლო მომავალში აქ რკინის გზის მუშაობა გაიმართება დიგორში გადასასვლელის მთით. აგერ ორ კვირაზე მეტია, რაც ამ სოფელში დასი ინჟინერთა ბ. რუდნიცკის ხელ-მძღვანელობით მუშაობს და ათვალიერებ-

ენ დიგორისკენ გადასასვლელ საგვირაბე გზას. ს. ღებიდან დიგორამდის სულ 18 ვერსის მანძილია. ესრედ წოდებულის „ცეცონის“ მთის ძირიდან, რომელიც შორავს ს. ღებს 4 ვერსის მანძილზე და მდებარეობს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრით, მარცხნით მდინარე ჩვეშურისა, უნდა გავიდეს გვირაბი 15 ვერსზე დიგორში და აქედგან შეუერთდეს კავკავის რკინის გზის სადგურს „ბორ-ყაუს“. ინჟენერთ ხსენებულის გზის თარჯვა იწყეს «ცეცონის» მთის ძირიდგან. აქეთ რაჭისკენ გზა მოუდის ჯერ მდ. ჩვეშურას მარცხნივ მხრით დასავლეთისაკენ, შემდეგ მდინარეს უხვევს მარჯვნით, გადის ღებელების საყანეებზედ, სოფელს თავს გადაუვლის და ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით ებმის მდინარე რიონს. მეორე დასი ინჟენერთა მუშაობს საგვირაბე მთის გადაღმა დიგორისაკენ ბ. რუდნიცკის ხელმძღვანელობითვე. აგერ ერთ კვირაზედ მეტია, რაც ბ. რუდნიცკი ს. ღებიდგან დიგორში წავიდა იქაურ ინჟენერთა დასახედავად. 14 ამ თვეს გვეწვია ზღვის ინჟენერი ბ-ნი ლევჩენკო, რომელმაც შეამოწმა აქაურ ინჟენერთა ნაწარმოები და აქედგან 16 ამავე თვისას ამავე აზრით გაემგზავრა დიგორისაკენ.

ღმერთმა ჰქნას, რომ ეს განკარგულება უმაღლესის მთავრობისა სისრულეში მოსულიყოს. მაშინ, რასაკვირველია, დასაბამიდგან მრავალ-ტანჯულს, უგზო-უკვლობით გათახსრირებულ სოფ. ღებსაც ეშველება და ეს უკანასკნელიც ისახელებს თავს მრავალგვარის მადნებითა და მადნის წყლებით, რომლებითაც ასე უხვად დაუჯილდოვებია ბუნებას იგი.

მიხაკო ღებელი.

19 ოქტომბერი, 1895 წ.

—

**ფოთი.** ჩვენს ქალაქს ამ ბოლო დროს დიდი სიცოცხლე დაეტყო, აქაური მართებლობა დიდს მხნეობას იჩენს, მისის განკარგულებით გაფუჭებულს ქუჩებს სილას აყრიან და თხრილებს სწმენდენ. თვით მართებლობამვე სთხოვა მთავრობას ნავთ სადგურის გაგანივრება, რაზედაც, ეჭვი არ არის, მალე მთავრობისაგან ნებართვასაც მიიღებს. თხოულობს აგრეთვე რიონისა და სუფსის შორის შემაერთებელ არხის გაყვანის ნება მიეცეს. რაც ერთი ორად გააადვილებს მიმოსვლას, გააიაფებს ყველა ნაწარმოების გადატან-გადმოტანას და მეტს საქონელსაც მიაწვდენს ფოთის ნავთ-სადგურს. სამოქალაქო გამგეობის ზრუნვა სამკურნალოს დაარსების შესახებ შეწყნარებულ იქმნა მთავრობისაგან. მომავალში იმედი გვაქვს ისეთ გულშესაზარ მაგალითებს არ ვნახავთ, როგორც აქამდის: რამდენი უპატრონო ღარიბი მუშა გამგზავრებულა საიქიოსაკენ, მით რომ წამალი ვერ უშოვია. აქაური ექიმი და წამალი მდიდრებისაა და არა ღარიბებისა, სამკურნალოს შენობა იქნება აგებული რიონის პირად, ქალაქის ბაღთან. თვით-მმართველობის განკარგულებით ფოთში დაარსდა სამოქალაქო საყასბო, რომელიც დიდი ხანია საჭიროდ ცნობილია. იმედია ქალაქის მკვიდრთ დიდს სარგებლობას მოუტანს, მით რომ იაფად კარგ ხორცსაც მიაწვდენს და არც მოაკლებს, თორემ შენი მტერია ხშირად ძალა-უნებურად გვამარხულებდნენ დღემდის აქაური მეყასბეები. ერთი სიტყვით, მომავალში ფოთელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ეხლანდელს მდგომარეობას ბევრით გააუმჯობესებენ.

ორიოდ სიტყვა ფოთის სამკითხველოს შესახებაც. თითქმის საქართველოს ყველა კუთხეებში, სადაც-კი მოიპოვებიან ბევრად თუ ცოტად შეგნებულნი, არსდება სამკითხველო და წიგნთ-საცავი. ჩვენ-კი არამც თუ ვაარსებთ, პირ-იქით დაარსებულსაც ვსპობთ, მით რომ არავითარს თანაგრძნობასა და დახმარებას არ ვუჩენთ, რომ მთლად არ მოგვესპოს იმ ორიოდ ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერება, რომელთა რიცხვმაც ამ ბოლო ხანებში ძლიერ იკლო. ერთმა მათგანმა — „კვალმა“ თითქმის ნახევარი წელიწადია ჩვენს სამკითხველოს თავი დაუკრა და გამოეშვიდობა. „აწ ვერ მიხილავ, ჩემო ძვირფასო, თუ რედაქციას არ მიაწვდენ ღირებულ ფასსაო“. მაგრამ საიდგან რას მისცემს საბრალო წიგნთ-საცავის პატრონი, რომელსაც ორმოცამდე საწევრო გარდასახადი არ შემოუდის წელიწადში; როგორ შეუძლია გაუძლოს მატერიალურად ყველა იმ რედაქციებს, რომლებთაგანაც ჟურნალ-გაზეთები აქვს გამოწერილი.

1893 წელს აქ სტამბასთან ერთად ბ. ტულუშის მიერ გაიხსნა წიგნის მაღაზია; მაღაზიის პატრონს ის აზრი ჰქონდა, რომ მაღაზიასთან სამკითხველოც დაეარსებინა, თუ კითხვის მსურველებს შემოიკრებდა, მაგრამ ჯერჯერობით, სამკითხველოში-კი არა, სასტუმროებში მიეშურებიან თავისუფალ დროს გასატარებლად ჩვენი ახალგაზდები, სადაც ადამიანი ფიზიკურადა სუსტდება და გონება უჩლუნგდება.

ი. კოხრეიძე.

20-ს ოქტომბერს 1895 წ.

## რუსეთის ცხოვრება.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრო გუბერნატორების შემწეობით აგროვებს ცნობებს, თუ რა და რა კომიტეტი ან საზოგადოება არსებობს თითოეულს გუბერნიაში სწავლის გაძლიერებისათვის. ყველა გუბერნატორებმა 15 ნოემბრისთვის უნდა გაგზავნონ სამინისტროში ცნობები, წესდებები და ანგარიშები ყველა ამ გვარ დაწესებულებათა.

—

გაისად შესრულდება 50 წელიწადი მას აქეთ, რაც დაარსდა „რუსეთის საიმპერატორო საარხეოლოგო საზოგადოება.“ ამ საზოგადოებამ დიდი შრომა გასწია და დიდი სარგებლობა მოუტანა მეცნიერებას და მთელს იმპერიას. იუბილეს 1896 წლ. შემოდგომაზე იდღესასწაულებენ.

—

მოსკოვის საარხეოლოგო საზოგადოებას მიეცა 10 ათასი მანეთი საარხეოლოგო გამოკვლევათათვის.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** გაზეთებში დაიბეჭდა ტექსტი იმ ხელშეკრულობისა, რომლითაც საფრანგეთის მთავრობა შეეკრა ჰავასისას. აი უმთავრესი მუხლები ამ ხელშეკრულობისა: 1) მადაგასკარის მთავრობა თანხმობას აცხადებს და იღებს საფრანგეთის პროტექტორატს. 2) მადაგასკარის დედოფალს საფრანგეთის მთავრობა წარედგინება მთავარ რეზიდენტად. 3) საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა კისრულობს მადაგასკარის ყველა გარეშე საქმეთა წარმოებას. მთავარს რეზიდენტს ექმნება დავალებული უცხო სახელმწიფოთა აგენტებთან იქონიოს დამოკიდებულება; მთავარს რეზიდენტს წარედგინება განსახილველად ყველა ის საგნები, რომლებიც მადაგასკარზედ მცხოვრებ უცხოელთ შეეხებიან. მალგაშის ქვეშევრდომთა და მათის ინტერესების მფარველობა საფრანგეთის სადიპლომატო აგენტებსა და კონსულებს ექმნებათ დავალებული. 4) საფრანგეთის მთავრობას ნება ეძლევა მადაგასკარზედ მეომართა საჭირო რიცხვი იყოლიოს პროტექტორატის დასაცველად. საფრანგეთის მთავრობა კისრულობს დედოფალს მფარველობა გაუწიოს და მისს სახელმწიფოში მშვიდობიანობა არაფერმა დაარღვიოს. 5) მთავარს რეზიდენტს მიეცემა კუნძულზედ შინაურ ადმინისტრაციის კონტროლი. დედოფალი პირობას აძლევს შინაური რეფორმები მოახდინოს, თუ-კი ამას საფრანგეთის მთავრობა საჭიროდა და სასარგებლოდ სცნობს პროტექტორატის კანხორციელებისა, კუნძულის ნივთიერად განვითარებისა და ცივილიზაციისათვის. 6) სახელმწიფოს სხვადასხვა საჭიროებათათვის დანახარჯი ფული კუნძულის შემოსავლიდგან დაიფარება.

— ცნობილმა ზოოლოგმა მილნ-ედვარდსმა და რამდენმამე მისმა ამხანაგმა ინსტიტუტიდგან მთავრობას წინადადება წარუდგინეს მადაგასკარზედ წასასვლელად სამეცნიერო ექსპედიცია შეადგინონ. ექსპედიციას ექმნება აზრად შეისწავლოს ჰავა და მდებარეობა კუნძულისა, მისი ნიადაგი, ადგილობრივნი ავადმყოფობანი, მცხოვრებნი ეტნოგრაფიულად როგორ დანაწილდებიან, ადგილობრივნი ენა-კილონი და სხვ. ექსპედიციას ორი წელიწადი დასჭირდება გამოსაკვლევად და, როგორც გამოანგარიშებიდგან სჩანს, 600 ათასი ფრანკი მოუნდება თურმე. საქმის ინიციატორთ განზრახვა აქვთ ეს ფული პარლამენტს გამოსთხოვონ; მინისტრებმა პუანკარემა და ჰანოტომ დახმარება აღუთქვეს ამ საქმეში.

—

განიხილა თუ არა პარლამენტმა ჟორესის ინტერპელიაცია, უკიდურეს მა მარცხენა მხარემ დაავალა ამ უკანასკნელსა და ჟერო-რიშარს დაუყოვნებლივ წასულიყვნენ კარმოში, ხსენებულ პარტიის დელეგატებად. შინაგან საქმეთა მინისტრმაც თავისს მხრივ დეპეშა გაუგზავნა ტარნის პრეფექტს და ურჩევდა საჭირო საშუალებანი ეხმარა, რომ შეთქმულთა უმეტესს ნაწილისათვის სამუშაო ეშოვნა. პრეფექტმა მაშინვე შეთქმულთ მიჰმართა და სთხოვა დელეგატები წარმოეგზავნათ, რომ ერთად როგორმე გამოებრუნებინათ რესსეგიეს კონფლიკტი. მუშებმა ამაზედ თავისი თანხმობა განაცხადეს. გარდა ამისა შინაგან საქმეთა მინისტრმა რესსეგიე მიიწვია და სთხოვა მეოთხე შუშის ჩამომსხმელს ფურნესაც დაეწყო მუშაობა, რომ ორას კაცს კიდევ გასჩენოდა სამუშაო; როგორც იუწყებიან, დირექტორს პირობა მიუცია შევასრულებო.

—

**ოსმალეთი.** მცირე აზიის იმ ადგილებში, სადაც აჯანყებას მოელიან ახლა დიდ-ძალი ოსმალეთის ჯარია შეგროვილი. ამ დღეებში სუეზის არხით გაიარა რამდენმამე გემმა, რომელთაც ოსმალეთის ჯარი მიჰყავთ არაბეთში, სადაც მკვიდრნი მთავრობაზედ უკმაყოფილებას აცხადებენ და აჯანყებასაც აპირებენ.

—

მთავრობამ გაუგზავნა უცხო სახელმწიფოებში მყოფ ელჩებს ცირკულიარი, რომლითაც აუწყებს, რომ არეულობა, რომელიც გამოიწვიეს ზოგიერთ ვილაიეტში თვით სომხებმაო, მოსპობილ იქმნა ჯარების შემწეობით და ეხლა ყველგან მშვიდობიანობა არისო. მთავრობა ჯარებს შეაგროვებს მხოლოდ იმ ვილაიეტებში, სადაც რეფორმების მოხდენა არის განზრახულიო.

—

საგანგებო კომისია ამ ჟამად ირჩევს წევრებს საკონტროლო კომისიისას, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს რეფორმების განხორციელებას.

—

პარისის ,,ჰავასის სააგენტომ“ მიიღო შემდეგი დეპეშა სტამბოლიდგან, დაწერილი 13 ოქტომბერს: მალე ოსმალეთი დესპანებს მისცემს მემორანდუმს. ეს მემორანდუმი შეეხება 18 სექტემბერს სტამბოლში მომხდარს ამბოხებას. ამ მემორანდუმში თხუთმეტი სტრიქონია, რომლითაც ფორმალურად ამტყუვნებენ სომხების პატრიარხს, რადგანაც მას შეეძლო და მოვალეც იყო შეწეობა აღმოეჩინა ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ ამბოხება თავისს დროზედ მოესპოთ. ხოლო პატრიარხმა, როდესაც პოლიციამ შეატყობინა მეამბოხენი როგორმე დაეშოშმინებინა, უარი განაცხადა შემწეობაზედ და მთავრობას შეუთვალა, რომ არ ძალუძს რაიმე ღონისძიება აღმოუჩინოს მეამბოხეთა წინააღმდეგ. შემდეგ მემორანდუმში ნათქვამია, რომ თუმცა პოლიციის პრეფექტი ორჯელ მივიდა პატრიარხთან, მან მაინც არ ათხოვა ყური და თვისის დაუდევრობით, მუქარით და საიდუმლო წახალისებით, ხელი შეუწყო სომხები ოსმალებს თავს დასხმოდნენ და დაეხოცათ ის სომხები, რომელნიც ოსმალეთის სამსახურში იყვნენ, ან მთავრობის საიდუმლო სააგენტოში მსახურებდნენო. ხელი შეუწყო მეამბოხეთ ბრწყინვალე პორტას და საზოგადო შენობებს დასცემოდნენო. ეკკლესიებში, სომხებს იარაღი ურიგდებოდათ და არ გამოდიოდნენ ტაძრებიდგან იმ განზრახვით, რომ კვლავ დასცემოდნენ ოსმალებს, როდესაც ინგლისის ხომალდის მოსვლას შეიტყობდნენო.

ამბოხება ჩუმად მზადდებოდა, ამბობს ოსმალეთის მთავრობა ერთს მანიფესტანტს აღმოუჩნდა ხანჯალი, რომელსაც მოკლული კაცის თავი ჰქონდა ზედ გაკეთებული. ამ ხანჯალზედ ეწერა: ,,უფალო, წარმოუვლინე ძალა ეროვნული ჩვენს შვილებსაც, რომ გაიგოს მთელმა მსოფლიომ ჩვენი გმირობა და ჩვენი მოწამებრივი სიკვდილი“.

ბოლოს მემორანდუმი დასძენს, რომ სომხები აქნობამდე არა სცხრებიან და თავს ესხმებიან გამვლელ-გამომვლელ ურიებსა და ბერძნებს იმ აზრით, რომ ეს დანაშაულობაც ოსმალთ გადააბრალონო.

## თეატრის მატიანე.

**ფოთი.** სამშაბათს, 17-ს ოქტომბერს, კლუბის დარბაზში ბათუმის სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ წარმოადგინა ხუთ-მოქმედებიანი ორიგინალური დრამა «და-ძმა» ვ. გუნიასი. პიესა, საერთოდ რომ ითქვას, მწყობრად ჩაატარეს, მხოლოდ ალაგ-ალაგ შალაშინი აკლდათ. მოხდენილად ითამაშა ქ-ნ ივანიძისამ მარინეს როლი, აგრეთვე საკმაოდ კარგად ითამაშეს ბ. მ-ძემ, კ-ძემ და გ-შვილმა, პირველმა ოტია ჯოლიას როლი, მეორემ გაიოზ ფალავასი და მესამემ ქუჩუ ადამიას როლი. სამივე ზემოხსენებულ ახალგაზდებს სცენის ნიჭი ეტყობათ. სასურველია ამიტომ გაავარჯიშონ და შეამუშაონ ეს ნიჭი; ქალბატონს რომელიც გადიას როლს ასრულებდა, ვურჩევთ სცენის მოყვარეობას თავი დაანებოს... ჩვენის გულგრილის საზოგადოების შესახებ-კი, ის უნდა ვსთქვათ, რომ ნაკლებად დაესწრო ამ წარმოდგენას.

ი. კ-ძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ ჩემ ამხანაგთა მაგიერ გულწრფელი მადლობა გამოვუცხადო თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით კნეინა ბარბარე ანდრიას ასულს ავალოვისას და კნეინა მელანია ივანეს ასულს წილოსანიშვილისას, რომელთაც შემოსწირეს კიევის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ 150 მანეთი.

სტუდენტი კიევის უნივერსიტეტისა ვ. წერეთელი.

19 ოქტომბერს 1895 სელს.

—

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ქქ. ან. ჩაჩიბაიას, ეკ. წულუკიძეს და ტ. მიადოეს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ჩვენთან ერთად თ. რ. ერისთავის საიუბილეო წარმოდგენაში „ადვოკატებ“-ში, რომელიც წარმოდგენილ იყო აკვჯაღის ქუჩაზედ იაფფასიან სასადილოში. აგრეთვე დიდად ვმადლობთ ქქ. მ. არღუთინსკისა და ვ. ქართველიშვილს, ბბ. გ. ყიფიანს, რომელიც რეპეტიციაზედ დაგვესწრო და ნ. ხუდადოვს, რომელიც დიდად გვეხმარება. ჩვენ, ახალგაზდა ხელოსნებს, აზრადა გვაქვს წარმოვადგინოთ სახალხო პიესები, ჩავუნერგოთ ხალხს სიყვარული თეატრისა და დავანახვოთ ცხოვრება თავისის კარგისა და ავის მხარეებით, გავართოთ და ამით ავაცილოთ ყავახანებს, სამიკიტნოებსა და სხვა ადგილებს, სადაც იხარჯება იმათი კვირით-კვირობამდის აღებული ჯამაგირი; ცოტად თუ ბევრად დავავიწყოთ ცუდი ზნე-ჩვეულებანი, რასაკვირველია, წარმოდგენების შემწეობით.

22 ოქტომბერს წარმოდგენილი იყო თ. რ. ერისთავის საიუბილეოდ და პატივ-საცემლად „ადვოკატები“ კომ. 3 მოქ. თ. რ. ერისთავისა და რუსულად ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი. ამ წარმოდგენას 300 კაცი და ქალი დაესწრო.

დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით, ხელხა ნასიამოვნები დაბრუნდა.

ვიმეორებ კიდევ, რომ დიდის მადლობის ღირსნი არიან ის ქალები, რომელთაც ჩვენთან ერთად მიიღეს მონაწილეობა სახალხო წარმოდგენაში. კარგი იქნება, რომ მუდამ დაგვეხმარონ ხოლმე და ერთად გავუძღვეთ საზოგადო საქმეს, რომელიც ცოტად თუ ბევრად, იმედია, ნაყოფს გამოიღებს. გახსოვდეთ, რომ

„საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია...“

შევიყვაროთ „ბედით დაჩაგრულები“ დამოგვეხმარენით და ნურც იმას დავიწყებთ, რომ

„სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება!!!

—

შიესის წარმოდგენის აგ-კარგიანობის შესახებ ჩვენ არაფერს ვიტყვით—დაასფასოს მან, ვისაც ჯერ არს.

წარმოდგენების გამგეთაგანი ხელოსანი ი. ხაშმელი.

1895 წ. 23 ოქტ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრი აცხადებს: 1887—1891 წლ. შინაგან სესხის ტირაჟში გამოუსვლელ 4% ობლიგაციების სახელმწიფო რენტის 4% მოწმობებზედ გამოცვლის შესახებ განცხადებანი მიიღებიან სახელმწიფო ბანკის ყველა კანტორებსა და განყოფილებებში, აგრეთვე შემნახველ კასსებსა და სამაზრო ხაზინებში 1-ლ ნოემბრიდგან 1 დეკემბრამდე ამა 1895 წლისა; ამასთან ყველა მოთხოვნილებანი, რომელნიც-კი 1-ლ დეკემბრამდის იქნებიან შეტანილნი ამ რიგად გამოსაცვლელად, დაკმაყოფილებულნი იქმნებიან.

**პარიჟი.** ახალშენების მინისტრად დეპუტატი გიუესსი იქმნა დანიშნული.

პარლამენტში წაკითხულ იქმნა სამინისტრო დეკლარაცია. მთავრობა ხელახლად შეუდგება სამხრეთ რკინის გზათა საქმის დამატებითს გამოძიებას და აღუკრძალავს დეპუტატებსა და სენატორთ საფინანსო სინდიკატებში მონაწილეობის მიღებას. კაბინეტი წარუდგენს ხარჯთ-აღრიცხვას განსახილველად და პროგრესიულს გარდასახადს მემკვიდრეობასა და სასმელების რეფორმაზედ. იგი აცხადებს, რომ საზოგადო გარდასახადებისა, დაზღვევის პროექტთა შესწავლისა, ურთიერთთ შორის დახმარებისა და მუშათა მოხუცობის დროს უზრუნველ ყოფის მომხრე ვარო და ახლა შეიტანს პროექტს იმის შესახებ, რომ ასოციაცია თავისუფალი იყოს, რათა ამითი სახელმწიფოსა და ეკკლესიის შორის დამოკიდებულება ხეირიანად იყოს განწყობილიო. დეკლარაცია ქებით იხსენიებს მხედრობასა და მადაგასკარის ლაშქარს. კაბინეტი მალე პროექტს შეიტანს საახალშენო მხედრობა იქმნას დაარსებული. მთავრობა შეასრულებს საფრანგეთის ხალხის საზოგადო სურვილს და იმ კავშირთ, რომელთაც მისი პოლიტიკური თანასწორობა აღადგინეს, არ უღალატებს. დასასრულ უარ-ყოფილ იქმნა რესპუბლიკის ცხად თუ საიდუმლო მოწინააღმდეგეთა დახმარება, იმ მოწინააღმდეგეთა, რომელთაც წოდებათა შორის ბრძოლა ჰსურთ, ძალადობას თანაუგრძნობენ და პირადს საკუთრებას უარს-ჰყოფენ. ეკონომიურ შეტაკების დროს კაბინეტი მოუფერებლად მოიქცევა და საზოგადო წესიერებას დაიცავს.

დეკლარაციის დასაწყისს სენატი ჩუმად მიეგება. სოციალისტთა და რევოლიუციონერთა კავშირების შესახებ რაც-კი ითქვა, ტაშის ცემით მიეგება ამას. დამასკვნელს სიტყვებს დეკლარაციისას სენატი ცივად დაუხვდა. პარლამენტში დეკლარაციის კითხვას რადიკალები და სოციალისტები სწყვეტავდნენ ტაშის ცემით; ცენტრი და მემარჯვენენი კი ცივად დაუხვდნენ.

**სუმლა.** ქაბულში მყოფი ინგლისის ელჩი ბრიტანიის მისიის მსახურმა მოკლა. შვილი და ადუტანტი ელჩისა მძიმედ არიან დაჭრილნი. მკვლელებმა დახოცეს იგინი, რომელთაც ელჩის ხსნა ჰსურდათ.

**ნიუ-იორკი.** მექსიკიდგან იუწყებიან, რომ ტეკსაკაპაში მსაჯულის ბრძანებით ცოცხლივ დაუწვავთ საპატიმროში 10 კაცი. რომელთაც მწვალებლობა თურმე ჰბრალდებოდათ. მსაჯულმა განაცხადა, რომ ასე უზენაესის სურვილისამებრ ვიქცევიო, უბრძანა ეს ვითომდა მწვალებელნი საპატიმროში დაემწყვდიათ და თავისის ხელით წაუკიდა ცეცხლი. საპატიმრო დაიწვა. ფანატიზმის გავლენის ქვეშ მყოფმა ხალხმა წინააღმდეგობა არ განუცხადა. 20 კაცი იქმნა დაპატიმრებული. გამოძიება დაიწყო.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხუროჯინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ზრუტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშვტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრუტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

## ცხოვრება
მეფე გიორგისა

აღწერილი
პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი ერთი მანეთი.

---

ახლად გამოვიდა გასასყიდად

## რეინიკე კუდა-მელა
(ათის სურათით)

ნათარგმნი გ. იოსელიანის-მიერ.
გამოცემა ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიისა.

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.
ფასი წიგნისა 50 კაპ., ვინც ათი ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ნაღდად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.
(5—6.—5)

---

## ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

ახალი გამოცემანი:

## სამზარეულო
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელაების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
ფასი მანეთ ნახევარი.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.

## აღა-მაჰმად-ხანის
შემოსევა ქ. ტფილისში,
თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.
ფასი 25 კაპ.
იყიდება ამხანაგობის სკიოკში.

---

## ქირავდება
რამდენიმე სადგომი. ადრესი: ჩუღურეთში, გონჩარნის ქუჩა, № 32.
მელქისედეკ ნაკაშიძე.
(3—1968—3).

---

## ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა.

თარგმანი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის, ქუთაისის და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

---

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

## „ИАКОРИ“
(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

---

დაიბეჭდა მეხუთე გამოცემით

## „РУССКОЕ СЛОВО“,
შედგენილი
იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალი სურათი აქვს ჩართული, რვა საბავშვო ლექსი მეორე წიგნიდგან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წვრილი ხელის რუსული დედანი. ფასი წიგნისა ექვსი შაური, დაკაზმულისა—ორი აბაზი. ვინც ოც-და-ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, დაკაზმული 32 კაპეიკად. (6—5).

---

## L'URBAINE
## УРБЭНЪ
## Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (40—22)


Дозволено цензурою, Тифлисъ 24-го Октября 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.